შპს „ბაჯო“

ს/კ 212671107. ქ.ქუთაისი ფარნავაზ მეფის ქ. N10 ტელ. 5 58 00 05 11

„—05--„----აგვისტო------„ 2022 წ.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
08 - 08 2022 წ.
№ 3859

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს „ბაჯო“-ს ქ.ქუთაისში, ლესელიძის ქუჩის მიმდებარედ განთავსებული აქვს ტყავის გადამამუშავებელი საწარმო, რომლის აღდგენა-რეკონსტრუქციაზე და ექსპლოატაციაზე მიღებული აქვს 2020 წლის 02 სექტემბრის N2-783 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (N79 (03.11.2017) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა).

საწარმოს მოწყობა დასრულდა 2019 წელს, რის შესახებაც ეცნობა სამინისტროს.

ექსპლუატაციაში შესვლის პროცესმა აჩვენა, რომ სათადარიგო ჩარხდანადგარების გარეშე (გამლეში დაზგა, გამთლელი დაზგა, ნახევრად შრობის დაზგა, დამარბილებელი დაზგა) ტექნოლოგიური პროცესი შეფერხებებით მიმდინარეობს, რაც იწვევს ნედლეულის გაფუჭებას. შედეგად საწარმო ვერ უზრუნველყოფს ბიზნესგეგმით განსაზღვრული პარამეტრების მიღწევასა და ხარისხიანი პროდუქციის მიღებას. აღნიშნული მიზეზების გამო საწარმომ ვერ შეძლო ექსპლუატაციის გაგრძელება. ზემოაღნიშნულის გამო დაიგეგმა საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილება.

კომპანიამ საწარმოს გადაიარაღების პირობებში ბინესგეგმის შედგენისა და ხარჯ-სარგებლის ანალიზის მიზნით დამატებით მოახდინა ბაზრის კვლევა, რის შედეგადაც გამოიკვეთა წარმადობის გაზდრის საჭიროება.

გაირკვა, რომ მოთხოვნადია როგორც მზა, კონდიცირებული ტყავი, ასევე ტყავის ნახევარფაბრიკატი. საწარმოს ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამონდინარე შესაძლებელია 120 ტ. ნედლი ტყავის გადამუშავება, რომლის შემდეგაც საწარმო გამოუშვებს 70 ტონა ტყავის ნახევარფაბრიკატს და 40 ტონა მზა ტყავის ნედლეულს.

რადგან, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, ამასთან მენეჯმენტს მიაჩნია, რომ დაგეგმილი საქმიანობისათვის აუცილებელია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემა, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, მე-8 მუხლის შესამაბისად შემუშავებული იქნა სკოპინგის ანგარიში, რომელიც წარდგენილი იქნა სამინისტროში 2021 წლის 08 ნოემბერს.

სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით საჯარო განხილვა გაიმართა 2021 წლის 30 ნოემბერს, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „ბაჯოს“, სკოპინგის ანგარიშის შემდგენელი საკონსულტაციო კომპანიის - შპს ,,სამნის” და ქ. ქუთაისის მერიის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება.

სკოპინგის პროცედურის შედეგად, სამინისტროს მიერ განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები. 2021 წლის 21 დეკემბერს გაცემული იქნა N64 სკოპინგის დასკვნა.

ზემოაღნიშნული დასკვნის მე-4 და მე-5 თავების, შენიშვნებისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, საკონსულტაციო კომპანია შპს „სამნი“-ს მიერ მომზადებული იქნა გარემოზე ზემოქმედების ანგარიში.

გარემოზდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „ბაჯო“-ს სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი აქვს ნარჩენების მარის გეგმა 2022-2024 წლებისათვის. ნარჩენების მართვის გეგმის გაახლება, ახალი რეალობის შესაბამისად მოხდება ექსპლუატაციის პირობების ცვლილების განხორციელების შემდეგ.

გთხოვთ, განიხილოთ და გასცეთ გარემოასდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: გზშ-ს ანგარიში 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ზდგ-ს ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ზ.დ.ჩ-ის ნორმების პროექტი -2 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ინფორმაცია ეკოლოგიური ექსპერტიზის პირობების შესრულების შესახებ (ცხრილისა და თანდართული დოკუმენტაციის სახით);
საჯარო რეესტრის ამონაწერი;
Shp - ფაილები;
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

პატივისცემით
ო. გრძელიშვილი
დირექტორი